სამშაბათი, 6 ნოემბ. 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი — № 244

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით ტფილისში—75 კაპ. ტფილისს გარედ—80 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ სადამოს 5 საათამდე ღირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს. ... მხოლოდ დიდი წერილები და ... ლობით პასუხისათვის საჭიროა ... პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.**

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

გ ა ი ხ ს ნ ა

## დურგალთა პროფესიანალური ბიურო

გუბერნატორის მიერ ნება დართული, ბიურო იღებს სადურგლო საქმეებს ხელმისაცემ ფასებში ნარდად, ნაჭრობით, და დღიურად. დღიურ მუშის ფასი გაყოფილია ოთხ კატეგორიად. ბიურო უდგება თავდებად ყველა თავის წევრს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო მიღებულია ბიუროს შუამდგომლობით.

ბიუროს ადრესი: მესამე საპოლიციო ნაწილი, რუსისა და ვანქის ქუჩების კუთხე, სახლი სომხურ სემინარიისა ზემო სართული. ბიურო ღიაა მუდამ დღე დილის 7 საათიდან შუადღის 3 საათამდე. (0—382—4)

ე ქ ი მ ი

### ა. ნ. დიასამიძე

**კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს**

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათამდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ე ქ ი მ ი

### ივ. გომართელი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 საათამდე, საღამოთი 5—7 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 33. (25—392—9)

ქ. ქუთაისში

### ექიმი ი. ი. ჩარექოვი

იღებს **განსაკუთრებით ვენერიულ, სიფილისიან და კანით ავადმყოფებს.** სწამლობს მუწუკებს, ძირმაგრებს, ბუბონებს და სხ. უოპერაციოდ **პროფ. ზიგრის** მეტოდი. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (25—ფ.—3)

კბილის ექიმი

### ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი ... (64)

**კირთვის, ცხვირის და ყელის ექიმი**

### ნ. ა. ატენიანცი

იღებს ყოველდღე ავადმყოფებს- შუადღის 12—2 ს., საღამოთი 5—7 საათამდე, მიხაილოვის ქუჩა № 114 „ვეტცელის“ სასტუმროს პირდაპირ. (50—385—10)

**ელექტრონის და რენტგენის**

### სამკურნალო კაბინეთი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—6.—37)

ე ქ ი მ ი

### ე. მ ა შ ა კ ი ძ ე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

ექიმი ქალი

### ს. ზ. მირზოევისა

მიიღებს თვალებით ავათმყოფებს ყოველ-დღე გარდა შაბათობით $1^1/_2$—$2^1/_2$ სოლოლაკის ქუჩა № 6. (25—364—18)

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

ტელეფონი № 481.

**ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.**

**რუდნევი**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 ს.

**რადეცკი**—კანისა, ვენ., სიფილ. ყოველ დღე $1^1/_2$—3 საათ.

**იანჩევსკი**—ყურისა, ყელ. და ცხვირ. ყოველ დღე 4—5 საათამდე.

**ერმოლენკო**—ბავშ. შინ. ყოველ დღე 1—12 ს.

**პავლოვიჩი**—ქირურგ. ყოველ დღე 1—12 ს.

**აზპიტოვი**—ყურისა, ყელ., ცხვ. ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$ ს. სამშაბ. და პარასკ. გარდა.

**ითხელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბ., ოთხშ. პარასკ. კვირა 1—2 ს.

**ბოჟოვსკი**—შინაგ. ყოველ დღე $11^1/_2$—1 ს.

**გორბაცევიჩი**—შინაგ. ყოველ დღე $11^1/_2$—$1^1/_2$ საათ.

**ინაევი**—ქალთა ავად. დროებით წავიდა.

**ჩუდნოვსკი**—ნერვ., სულით, ელექტრ. ყოველ დღე 4—5 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3 ს.

**ნოვიცკი**—ქალ., ბავშ. ყოველ 1—2 ს.

**ნევშტროევა**—კბილისა, ყოველ დღე 10—12 და 3—5 ს.

**კორობცოვისა**—მასსაჟი. ყოველ დ. 12—1 ს.

**პავარსკი** — | **ჩუდნოვსკი** — | კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთ გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—55)

**დოქტორი მედიცინისა**

### გ. გ. გურგენოვი

ყოფილი საშტატო ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის საქალო ავადმყოფობისა და ბებიაობის კლინიკისა **გადავიდა** გოლოვინის პროსპ., № 12 საარტისტო საზ. თეატრის პირდაპირ. ავად მყოფების მიღება 12—2 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. (25—355—21)

ქ. ქუთაისში

### ექიმი ჯაფარიძე

იღებს ყურით, ყელით, ცხვირით და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს. ტფილისის ქუჩა, სახლი თ. ნიჟარაძისა. (50—6.—2)

კბილის ექიმი

### ნ ი ნ ო რ ც ხ ი ლ ა ძ ე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0—216)

**ქუთაისში**

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი ქ ა ლ ი

### ე. დ. ნასარიძე

იღებს ავათმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (346)

**ქართული წარმოდგენა** № 5.

საარტისტო საზოგადოების თეატრში ორშაბათს, 5 ნოემბერს 1907 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ნ. პ. ჩხეიძის მონაწილეობით პირველად ახალი პიესა შ. არაგვისპირელისა

### შიო თავადი

ისტორიული ლეგენდა 3 მოქმედ.

### არც აქეთ—არც იქით

ვოდევილი 1 მოქ. გადმ. ვ. გუნიას მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ო. ლეჟავა, ბ. ნებიერიძისა, ე. ჩერქეზიშვილისა, ნ. ჩხეიძე; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ზ. ბერიშვილი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, კოლელიშვილი, ი. ქიქიძე, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, დ. ჩარკვიანი და სხვ.

ადგილების ფასები დაკლებულია.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად «იმედის დაღუპვა», „ექიმთან“, „მეფე“ და სხვა.

მორიგი წევრი გამგეობისა კ. ზ. მაყაშვილი.

რეჟისორი ვ. გუნია.

ტფილისის ქალაქის

### გამგეობისაგან

რადგან, ხოლერის მოლოდინში, საჭიროა თავის დროზე იქნას მიღებული ზომები ქალაქის ასენიზაციისთვის, ამიტომ ქალაქის გამგეობა ურჩევს სახლის-პატრონებს გაიყვანონ თავიანთ სახლებიდან არხები საერთო არხში. ვისაც არ ძალ-უძს ამის შესრულება, მათ უსუფთაობისთვის ორმოები ისე უნდა მოაწყონ, როგორც ამას სავალდებულო დადგენილებანი მოითხოვენ. ყველა იმათ წინააღმდეგ, ვის სახლშიც არ აღმოჩნდება ასეთი ორმოები, ქალაქის გამგეობა შეადგენს ოქმს, რასაც ჯარიმა მოჰყვება,

ცნობებისთვის მსურველებმა უნდა მიჰმართონ კანალიზაციის საქმის გამგეს გამგეობის მესამე განყოფილებაში. (1—6.—1)

კოოპერატიული ამხანაგობა

### შეღავათი

ამით აუწყებს ქალაქში მცხოვრებთ, რომ მან **გახსნა თორნე**, საიდანაც ამხანაგობის წევრებს პური მიეცემათ $4^1/_2$ კაპეიკად გირვანქა, ხოლო არა წევრებს 5 კაპ., ნახევარ კაპეიკად უფრო იაფად, ვიდრე ბაზარზე იყიდება.

ადრესი: **დოლუხანოვის ადგილი.** (3—2)

ე ქ ი მ ი

### ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—$11^1/_2$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

### „ტფილისის სობრანიე“

სამშაბათს, 6 ნოემბერს სრულიად სომეხთა კათალიკოსის მკრტიჩ I-ის დასაფლავების გამო საოჯახო საღამო გადადებულ იქმნა. (1—403—1)

### ვკისრულობ

ხელნაწერების შესწორებასა და თარგმნას: რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად. იკითხეთ „ისრის“ რედაქციაში.

ამ თვის დამლევს გამოვა

### დროების კალენდარი

**დამდეგი 1908 წლის.**

შ ი ნ ა ა რ ს ი:

1) საკალენდრო ცნობები, 2) რუსეთის იმპერატორის გვარეულობა და მათი ქონება, 3) საქართველოს რუსეთთან შეერთების ხელშეკრულება, 4) ასტრონომიური ცნობები, 5) ფოსტა-ტელეგრაფისა და რკინის გზის ცნობები, 6) უცხოეთის სახელმწიფოთა ცნობები, 7) პოლიტიკურ პარტიების პროგრამები, 8) სტატისტიკური ცნობები, 9) იურიდიული ცნობები, 10) გამოსადეგი ცნობები, 11) სამეურნეო ცნობები, 12) საექიმო ცნობები, 13) შესანიშნავი ამბები (1906 წ. 1 ნოემბრიდან 1907 წ. 1 ნოემბრამდე მომხდარი).

**კალენდარს ბოლოში დართული ექმნება სალიტერატურო ნაწილი**

კალენდარი დიდი ზომისაა. შეიცავს 150 გვ. და ეღირება 30 კაპ. ვინც დაიკვეთს არა ნაკლებ 100 ცალს, იმას დაეთმობა 30% დაკლებით.

✦ კალენდარში დაიბეჭდება ყოველგვარი განცხადებანი ✦

მისამართი: ტფილისი, სტამბა «იდეალი» ნიკოლოზის ქუჩა, № 6.

## პოლონელთა შორის

ამას წინად ჩვენ ვწერდით, რომ ჩვენში სოციალისტური პარტიებიც იძულებულნი არიან კულტურულ მუშაობას უფრო ენერგიულად მოჰკიდონ ხელი. ჩვენი კულტურული ჩამორჩენა ესოდენ დიდია და მუშაკი იმდენად ცოტაა, რომ ამ დიდის საქმის მიდება ლეგალურ ლიბერალურ ელემენტებზე დანაშაული იქნება ჩვენის ხალხისა და ქვეყნის წინაშე.

სწორედ განვლილ რევოლიუციონურს ხანაში ყოველი დაფიქრებული ადამიანი უნდა დარწმუნებულიყო, რომ ამ მხრით ჩვენ ჯერ ერთობ დაბალ საფეხურზე ვდგევართ. ტრაბახი იმით, რომ „მთელმა ჩვენმა ხალხმა მონაწილეობა მიიღო მოძრაობაში“, სამწუხაროდ, საშინელი თავის მოტყუილება იქნება, რადგან ეს „მონაწილეობის მიღება“ იმდენად შეგნებული არ იყო, რამდენად სტიქიური და გამოწვეული რუსეთის საერთო აღელვებით. ჯერ კიდევ დიდი და ძალიან დიდი მუშაობაა საჭირო, რომ ჩვენი ხალხი მომზადდეს შეგნებულ და დარაზმულ, წინადვე დასახულ გეგმაზე, მოქმედებისთვის. ასეთ მდგომარეობაში მარტო ჩვენ როდი ვართ, რუსთა მოწინავე პარტიების მოაზრეთაც ეს დასკვნა გამოჰყავთ განვლილ „შტურმ უნდ დრანგპერიოდიდან“. მაგრამ უფრო საყურადღებო და საგულისხმიეროა, რომ პოლონელთა შორისაც ვამჩნევთ ახალ ევოლიუციას რევოლიუციონურს აზროვნებასა და მოქმედებაში.

პოლონეთი ძალიან განსხვავდება მთელ დანარჩენ რუსეთის იმპერიისაგან. იგი დასავლეთ ევროპის კუთხე უფროა, ვიდრე აღმოსავლეთისა, იმდენად განვითარებულია კულტურულად და ძლიერია სწავლა-განათლებით. იქ კაპიტალისტური ევოლიუცია შორს წავიდა და კლასები უფრო ნათლადაა ჩამოყალიბებული, ვიდრე სხვაგან სადმე რუსეთში. ამიტომ სოციალისტურ პარტიებისთვის უფრო მომზადებულია ნიადაგი წმინდა რევოლიუციონურ მუშაობისათვის კლასთა ბრძოლის ნიადაგზე. მეორეს მხრით, პოლონეთში დიდი და ძლიერი ინტელიგენცია არის, რომელიც სარევოლიუციო პარტიებს არ ეკუთვნის და შეუძლია დიდი კულტურული მოღვაწეობა აწარმოვოს. მიუხედავად ასეთ პირობებისა ჩვენ ვხედავთ, რომ დღეს პოლონელ სოციალისტებსაც იპყრობს ის აზრი, რომ, დროთა ვითარებისა და გარემოებათა მიხედვით, ხალხის ნამდვილ მეგობრებმა წმინდა კულტურულ მუშაობას უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღებაო... ჩვენ მკითხველებთან უკვე გვქონია შემთხვევა ამაზე ლაპარაკისა და მოგვიყვანია მაგალითები პოლონელ პარტიების დღევანდელ სულიერ განწყობილებისა და პრაქტიკულ მოღვაწეობის მიდრეკილებისა; მაგრამ გვინდა კიდევ ერთის გამოჩენილ პოლონელ სოციალისტის აზრი გავაცნოთ მკითხველთ, რადგან იგი უფრო ნათლად და მკაფიოდ გვისურათებს ხსენებულს სულიერს განწყობილებასა და მიდრეკილებას.

ეს გამოჩენილი სოციალისტი ამავე დროს ცნობილი პოლონელი მწერალია —კრჟივიცკი; რწმენით მარქსისტია, მაგრამ პ. პ. ს—ის პარტიაშია, რადგან ამ პარტიის ეროვნულ-პოლიტიკურ პროგრამას ემხრობა (საზოგადოთ პ. პ. ს—ის პარტიაში მარქსისტები ბევრია). გაზეთ „ტოვარიშჩ“-ში მოყვანილია ამ მოღვაწის საუბარი გაზეთის კორესპონდენტთან პოლონეთში საქმეთა მდგომარეობის შესახებ და ამ საუბარს გადავცემთ მკითხველთ, რადგან, როგორცა ვსთქვით, ნათლად გვიხატავს ახალს ევოლიუციას და გვიხსნის პოლონელ სოციალისტთა ზოგიერთ უკანასკნელ აქტების მნიშვნელობას.

პირველად ყოვლისა კრჟივიცკი იმ აზრისაა, რომ ჯერ ხანად რევოლიუცია გათავებულად უნდა ჩაითვალოს: ჯერჯერობით შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ რუსეთში, ახლო მომავალში, კვლავ თავი იჩინოს ფართო რევოლიუციონურმა მოძრაობამაო. შემდეგ გადადის „გაკვეთილებსა“ და შედეგზე და ამბობს: „ჩვენ გავიგეთ, რომ ხალხი მოუმზადებელი ყოფილა შეგნებულ და სწორ გეგმიან (ПЛАНОМѢРНЫЙ) მოძრაობისათვის. ჩვენთვის ცხადი შეიქნა აგრეთვე, რომ ასეთი შეუგნებელი და დაუწყობელი მოძრაობა მხოლოდ **დროებით** არის ძლიერი თავის სტიქიურის ხასიათის მეოხებით, მაგრამ ბოლომდე ვერ გაატანს და ვერ გაიმარჯვებს. ამიტომ მთელი ჩვენი ძალღონე ახლა იმას უნდა მოვახმაროთ, რომ ხალხი მოვამზადოთ, გავანათლოთ, განვავითაროთ ნამდვილის ცოდნით“. კრჟივიცკი ნათლად ჰხედავს, რომ **ფრაზით** გატაცებული ხალხი შეგნებულად ვერ ჩაითვლება, რომ დემაგოგიით შედგენილი მასსიური ორგანიზაცია ადვილად შეიძლება გადაიბირონ სხვა, უფრო ძლიერის დემაგოგიურის ხასიათის, წრეებმა და ელემენტებმა, რომ წავიდა ის დრო, როცა ხალხის სახელმძღვანელოდ ნახევრად უვიცი აგიტატორები იგზავნებოდა მასსაში. რამდენისამე ხნის წინად პოლონელ რევოლიუციონერებსაც ეგონათ, რომ მთელი მუშა-ხალხი საკმაოდ გათვითცნობიერებულია, მაგრამ, დახეთ რა მოხდაო, ამბობს კრჟივიცკი: „ზოგიერთ ფაბრიკა-ქარხნებზე კსენძებმაც კი წაგვართვეს ორი მესამედი მუშებისაო“!.. ამიტომაო, დასკვნის ის, ამ ჟამად საჭიროა კულტურული მუშაობა მასსაში. „მართლაც, განაგრძობს კრჟივიცკი, პოლონეთში ამ ჟამად ყველა დაიწყო წმინდა განმანათლებელს მოღვაწეობას. შეხედეთ, რამდენი ახალი საზოგადოება დაარსდა: „უნივერსიტეტი რადომის ქვეყნისა“, „ლიუბლინსკი სვეტ“, „ლოძის უნივერსიტეტი“, „ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება“, „წერა-კითხვის უცოდინართა საზოგადოება“, „ვარშავის სახალხო უნივერსიტეტი“ და სხვა. როგორის თანაგრძნობით ეგებება ჩვენი ხალხი ამ დაწესებულებათ, იქიდანაც სჩანს, რომ ვარშავის სახალხო უნივერსიტეტი არა თუ უძლვება ყველა მიმდინარე ხარჯებს, სათადარიგო თანხაც-კი გაიჩინა და სულ ეს ფული შესდგა წევრთა **შაურიან გადასახადებისაგან.** მუშებში დიდი ცვლილება ხდება, წავიდა დრო ბავშვ-აგიტატორებისა და ხალხი ნამდვილ ცოდნას თხოულობს“. სოციალისტური პარტიებიც პოლონეთში მოვალენი არიან, ხალხის ამ ფრიად სერიოზულს ცვლილებას ფრიად სერიოზული ყურადღება მიაქციონ...

თუ პოლონელნი ამას ამბობენ, თუ პოლონელ ხალხის მეგობართ მიაჩნიათ საშიშრად ფრაზებით ხალხის გატაცება, თუ პოლონელნი აღიარებენ თავის მოუმზადებლობას და კულტურულ ჩამორჩენას, ჩვენ რაღა გვეთქმის, ჩვენთვის რაღა ყოყმანია საჭირო იმის აღიარებლად, რომ კულტურულ მუშაობის მივიწყება დანაშაულია ხალხისა და ჩვენის ქვეყნის მომავლის წინაშე. გვეტყვიან, ამას არავინ არ უარ-ჰყოფსო. მაგრამ ეს თქმაც ფრაზა იქნება მხოლოდ, რადგან საქმე სულ სხვაა და ჩვენში ჯერ კიდევ ბევრს მოაქვს თავი იმით, რომ „ჩვენმა ხალხმა ამ მოძრაობაში დაამტკიცა თავისი მომზადება, განვითარება და შეგნება“-ო.

კრჟივიცკის საუბრის მეორე ნაწილს, სადაც იგი ეხება პოლონეთის სოც. პარტიის ახლანდელ ტაქტიკის ერთ-ერთ მომენტს, ხვალ გავაცნობთ მკითხველთ.

## რკინის გზის მუშების მოძრაობა ინგლისში.

ინგლისში ცოტას გადარჩა რკინის გზის მუშების საყოველთაო გაფიცვა არ მოხდა. ამ ერთი თვის განმავლობაში მუშებმა, რომელთაც ძლიერი ორგანიზაცია აქვთ, პლებისციტი გამართეს ამხანაგებში იმის გამოსარკვევად, საჭიროა თუ არა საყოველთაო გაფიცვის გამოცხადება. ამ პლებისციტმა აღმოაჩინა, რომ მუშებში არავითარი ყოყმანი არ ყოფილა. სულ 85,000 შეკითხვის ფურცელი დაუგზავნიათ და აქედან $8^1/_2$ ათასს განუცხადებია უარი გაფიცვის გამოცხადებაზე, დანარჩენს 77,000 კი თანხმობა განუცხადებია. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ინგლისი აჭარბებდის რკინის გზებითაა მოფენილი და მუშებს კი მტკიცე ორგანიზაცია აქვთ შეკრული, ამ გაფიცვას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ინგლისის მუშათა ცხოვრებაში. ორივე მხარე რკინის გზის ამხანაგობანი და მუშათა ორგანიზაციები დიდ ხანს ემზადებოდნენ ამ ბრძოლისთვის და ბოლოს პირის-პირ დასდგნენ გაალმასებულნი, უკიდურესობამდე მისულნი.

საყურადღებო მხარე ამ მოძრაობისა იმაში მდგომარეობდა, რომ ლიბერალური ბურჟუაზია ინგლისისა დიდის სიმპატიით ექცეოდა ამ გაფიცვას. ეს კი უნდა აიხსნას მხოლოდ იმით, რომ რკინის გზის ამხანაგობანი განსაკუთრებით „კავშირთა თავისუფლების“ პრინციპს ეწინააღმდეგებიან და მუშების თავისუფალ შეკავშირებასა და დარაზმვას ყველა-გზით ყურ იჭერენ. რკინის გზათა დირექტორების ლიდერს, მოთავეს ლორდს გამილტონს თავის მანიფესტში განუცხადებია: რკინის გზათა მუშების კავშირი მათ მარტო იმიტომ უნდათ, რომ ფეხი მაგრა მოიკიდონ, უფრო კარგად შეკავშირდნენ და მერე ხელსაყრელ დროს საერთო გაფიცვა მოახდინონ ხელფასის მოსამატებლადო. ამას კი, ლორდის აზრით, ის მოჰყვება, რომ „აღმოსავლე-

თის დიდს რკინის გზას“ შემოსავალი $3\frac{1}{2}$ მილიონ მანეთით შეუმცირდებათ. ეხლა ამხანაგობა მხოლოდ $3\frac{1}{4}\%$-ს იღებს და თუ $1\frac{1}{2}\%$ კიდევ დააკლდა, მაშინ მისი არსებობაც შეუძლებელი გახდებათ.

ინგლისურ გაზეთების სიტყვით, ლარდის ეს ცნობები, მართალიც რომ იყოს, მაინც უთვლად შეუძლებუდია ადამიანის უფლებათა შეზღუდვა, რასაც თავისუფლებაში აღზრდილი ინგლისელი თავის დღეში არ დასთანხმდებათ. ეკონომიური მოთხოვნილებანი ინგლისის მუშებს რომ თავში მოექცეთ, მაშინ ამხანაგობანი, რასაკვირველია, პარლამენტის უმრავლესობას თავისკენ მიიმხრობდნენ, მაგრამ, რადგანაც ამხანაგობანი თვით „კავშირების თავისუფლების“ პრინციპს ებრძოდნენ და არა სურდათ რკინის გზის მუშათა კავშირის ანგარიშის გაწევა,—ინგლისის საზოგადოება, თვით ლიბერალური ბურჟუზიაც მუშების მხარს იჭერდა და რეალურ დახმარებას უწევდა.

ეხლა, როგორც რუსული გაზეთები გადმოგვცემენ, მუშებსა და ამხანაგობებს შორის თანხმობა ჩამოვარდნილა. საერთო კავშირის არსებობაზე ამხანაგობანი მაინც არ დასთანხმებულან, მაგრამ ცეხურ ორგანიზაციების უარყოფა-კი ვეღარ გაუბედიათ. თუ მუშებსა და ამხანაგობებს შორის უთანხმოება ჩამოვარდება, საქმის გარჩევა ცეხებსა და ამხანაგობებს შორის უნდა ხდებოდეს. იმ შემთხვევაში კი, თუ ცეხებსა და ამხანაგობებს შორის მოლაპარაკებამ სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო, ინიშნება სამედიატორო სასამართლო, რომლის თავმჯდომარეობაზედაც თანხმობა განაცხადა ქვედა პალატის თავმჯდომარემ. მოსამართლეებად ნიშნავენ თანასწორ რიცხვს; ამასთან ერთად მუშებს ნება ეძლევათ, ვინც უნდათ, ისინი მიიწვიონ. ამნაირი წესი კი მუშებს საშუალებას აძლევს, ისეთი პირები მიიწვიონ ხოლმე, რომელნიც მათს ინტერესებს თავგამოდებით დაიცავენ და რომელთაც მუშათა საკითხი კარგად ექნებათ შესწავლილი.

ამ რიგად, ინგლისს მოსალოდნელი დიდი გაფიცვა თავიდან აცდა დრობით მაინც. ვერ ვიტყვით, რომ მუშები სავსებით გამარჯვებულნი გამოვიდნენ ამ ბრძოლიდან, მაგრამ ისიც ყურადღების ღირსია, რის განხორციელებაც მოახერხეს.

## სახელმწიფო სათათბირო და საბჭო.

—:—

**პრესა სათათბიროში.** სათათბიროში ბეჭდვითი სიტყვის მოავარმა სამმართველომ მხოლოდ 51 გაზეთის წარმომადგენელი შეუშვა. აქედან სამი გერმანულ პრესისა, სამი პოლონურ პრესისა, ერთი ქართულისა და ერთიც სომხურისა. კავკასიიდან მხოლოდ შემდეგ გაზეთებს მიეცათ უფლება სათათბიროში საკუთარ კორესპონდენტის გაგზავნისა: „ისარს“, „მშაკს“ და „ტიფ. ლისტოკს“. მოლოროსულს, თათრულს, ლატვიურს, ფინურსა და ესტონურ გაზეთებს არც ერთი ადგილი არ მისცეს. გარდა ამისა გაზეთები ისეა შერჩეული, რომ ცხრა მეათედი რეაქციონურ პრესას ერგო, ერთი მეათედი კი—პროგრესიულს.

ამ საქმის შესახებ ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლებმა დეპუტაცია მიუგზავნეს სტოლიპინს და სთხოვეს, მეტი ადგილი დაგვითმეთ და გადაჭარბებული შევიწროვება აგვაცილეთო. სტოლიპინმა მიუგო: ახალი წესები პრესის შესახებ ეს არის ეხლა დავამტკიცეს უმაღლესად და ეხლავე მისი შეცვლა შეუძლებელია. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, როცა სათათბირო თავის კალაპოტში ჩადგება, სათათბიროს თავმჯდომარეს მოველაპარაკები და გაქრვებას შეგიმსუბუქებთო.

**ცენტრის შედგენა.** საბოლოოდ გამოირკვა, რომ მთავრობა მომხრეა სათათბიროში კონსტიტუციონურ ცენტრის შედგენისა. ამ ჟამად საქმე მხოლოდ იმაშია, ვისგან უნდა შესდგეს ეს ცენტრი. ეჭვს გარეშეა, რომ ცენტრი უნდა შეადგინონ ოქტომბრისტებმა, ხოლო ვის მიიმხრობენ, კადეტებსა თუ მემარცხენეებს—მთელი ლაპარაკი ამის გარშემო ტრიალებს. ოქტომბრისტების ბელადები გუჩკოვი, კაპუსტინი და ხომიაკოვი გადაჭრით უარს ამბობენ მემარჯვენეებთან შეთანხმებას სამუდამოთ. ჯერ ჯერობით მხოლოდ ის გადაწყდა, რომ ოქტომბრისტები ხელ-ფეხს არ შეიკრავენ და ხან მემარჯვენეებს მიემხრობიან, ხან მემარცხენეებს.

**მემარჯვენე ფრაქციები.** უკიდურესმა მემარჯვენე დეპუტატებმა დააარსეს თავიანთი კლუბი და ფრაქცია. ფრაქციაში უკვე 80-ზე მეტი დეპუტატი ჩაწერილა. მემარჯვენენი სცდილობენ, რომ რაც შეიძლება შეამცირონ რიცხვი სათათბიროს სხდომებისა. მათი აზრით, დეპუტატებმა თავიანთი ძალ-ღონე უნდა შეალიონ კომისიებში მუშაობას, სადაც კეთდება ნამდვილი საქმე, სათათბირო კი ლაყბობის მეტს არაფერს აკეთებსო.

**კანონ-პროექტის გატანა.** მეორე სათათბიროში შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სხვათა შორის, შეიტანა კანონ-პროექტი ადგილობრივ თვითმმართველობის შესახებ. ეს კანონ-პროექტი სამინისტროს ეხლა უკანვე გაუტანია. სამინისტრო მას ხელ-მეორედ გადათვალიერებს, შეასწორებს, შეაკვეცავს და ისევ დაუბრუნებს ეხლანდელ სათათბიროს.

**კანონ-პროექტების რიგი.** სამინისტროს უკვე შეუმუშავებია რიგი იმ კანონპროექტებისა, რომელიც უნდა განიხილოს სათათბირომ. ყველაზე ადრე სამინისტრო შეიტანს კანონ-პროექტს შესახებ ადგილობრივ სასამართლოსი, მერე აგრარულ კანონებს, რომელნიც გამოიცა ძირითად კანონების მე-87 მუხლის ძალით, ამას მოჰყვება კანონ-პროექტები შესახებ ადგილობრივ თვითმმართველობისა, მუშათა საკითხისა და გაძლიერებულ დაცვის წესებისა.

**მღვდელთა ჯგუფი** სათათბიროში დაარსდა მღვდელ-დეპუტატების ჯგუფი. მათ აზრად აქვთ სასულიერო პირთა მდგომარეობის შესწავლა და შესაფერ ზომების მიღება. ეს ჯგუფი თხოულობს, რომ სათათბირომ ყველაზე უმალ განიხილოს საკითხი მღვდლების ქონებრივ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ და გააფართოვოს უფლებანი მართლმადიდებელ სამღვდელოებისა.

**ოქტომბრისთა ფრაქცია.** ოქტომბრისტთა საპარლამენტო ფრაქციაში ჯერ-ჯერობით ჩაეწერა 155 დეპუტატი ე. ი. დეპუტატთა საერთო რიცხვის მესამედზედ მეტი.

## ახალი ამბავი

—:—

✦ **ვაგონის გადაბრუნება.** გუშინ, 5 ნოემბერს, პოლიციის მე-8 ნაწილში, ციციანოვის აღმართზე, ერთი უბედურება დატრიალდა. დილის $10\frac{1}{2}$ საათზე კახეთის მოედნიდან მოდიოდა ტრამვაის ვაგონი. ვატმანად იყო პუგაჩოვი. წვიმისაგან დასველებულ ლიანდაგზე საკმაოდ არ დაეყარათ ქვიშა, რის გამოც ვაგონი ძალზე დაქანებულა. ვატმანმა ტორმოზს მოსწია, მაგრამ ტორმოზის ჯაჭვი გასწყდა და ვაგონი უფრო ძლიერ დაქანდა. მგზავრებიდან ვინც ახერხებდა, ხტებოდა ვაგონიდან; ზოგმა თავი გაიტეხა, ზოგმა ფეხი მოიტეხა, ზოგმა მკლავი და სხვ. შეშინებულმა პუგაჩოვმა ვაგონს სულ თავი მიანება, გადმოხტა და ხალხს შესძახა—უბედურება მოველით, თავს უშველეთო. ვაგონში ერთი ჯოჯოხეთი დატრიალდა. მგზავრებმა აღარ იცოდნენ, რა ექნათ: გადმომხტარიყვნენ—უბედურება აუცილებელი იყო, არა და სიკვდილი და ხევში გადაჩეხა მოელოდათ. ყვირილზე ხალხი სახლებიდან გამოცვივდა, მაგრამ შემწეობას ვინ აღმოუჩენდა. ვაგონი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიექანებოდა. კონდუქტორმა არ დაჰკარგა გონიერება და მოინდომა ვაგონის შეჩერება უკანა ტორმოზით. ამ დროს მოსახვევში ვაგონი დაეჯახა რიყის ქუჩიდან მიმავალ დროგს და გადაბრუნდა. ზოგი ქვეშ მოჰყვა ვაგონს, ზოგი განზე გადავარდა. მალე შეიკრიბა ხალხი, გაჩნდნენ პოლიციელებიც, დასახიჩრებულნი და დაშავებულნი ეტლებში ჩასვეს და მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. დაშავდა 23 კაცი: ვაროს ისაევი, არშაკ აშოვიანცი,—იაგორ ჯ—ჯიშვილი, ვასილისა ასათიანისა სამი წლის ქალით ზინაიდათი, ვერა ბარკოვსკაია, სოფიო ავეტისოვისა, პეტრე ხორველაშვილი, ივანე პუგაჩი, სერაფიონ ანთაძე, შტაბს-კაპიტანი კონსტანტინე მიხაილოვსკი, ოსიპ კოტლიაროვი, ალექსანდრე მალჩანოვი, სიმხოვიჩი, ევდოკია ფროლოვისა, ივანე ჩიჟავაძე, ალექსანდრე კობიაშვილი, გერიგორ გოზალოვი, მინას აკოფოვი, გვორქ ტოპჩიანცი და დავით გურულაშვილი (იგივე მოშაძე). დაშავებულთ საექიმო დახმარება აღმოუჩინეს და ბევრნი, საავადმყოფოში უადგილობისა გამო, სახლებშივე გაჰგზავნეს. ტრამვაის დირექცია გამოძიებას შეუდგა. დაშავებულნი აპირობენ დავა აუტეხონ უსახელო საზოგადოებას.

✦ **ეტაპით გაგზავნა** 4 ნოემბერს, დილით, ბაქოს ეტაპით ტფილისის საპყრობილიდან წაიყვანეს ადმინისტრატიულად გადასახლებული შემდეგი პირები: ოზურგეთის მაზრიდან პერმის გუბერნიაში—ვარლამ ერქომაიშვილი, ბებურ სვიმონიშვილი, მათე გორგოლაძე, კაპიტონ ვაშაკომიძე, კოზმან დოლიძე, ნიკოლოზ მესელიძე, იასე ბოლქვაძე, მიხაილ მოქია, ბესარიონ, მალაქია, გიორგი გაგუა, ბესარიონ ცინცაძე, იასე მახარაძე, მიხეილ ბურჭულაძე; ქუთაისის მაზრიდან—სერგეი ხურჯაძე, დარისპან ზავახიძე, ტიმოთე სირაძე, ანტიფო ბოდოკია; აქედან მეორე იგზავნება ასტრახანში, დანარჩენნი—ორენბურგში; კახეთიდან: ალექსანდრე მატინოვი, ლაზარე ნიკოლაიშვილი, კოტე და ილია ბალდასაროვები, კოტე არაქელოვი, ალექსი იმერლიშვილი, აბრია ბეზარაშვილი და ალექსი ოზაშვილი აქედან პირველი და უკანასკნელი იგზავნება ორენბურგის გუბერნიაში, დანარჩენნი—პერმისაში.

✦ **ტრამვაის ვაგონისაგან დაშავებული.** 2 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, მიხეილის ქუჩაზე, ვარანცოვის ძეგლისაკენ მიმავალ ვაგონიდან ჩამოხტა სოხუმის რეალურ სასწავლებლის 16 წლის მოსწავლე კაპიტონ კვარაცხელია და დადგა ლიანდაგებს შუა. კვარცხელიას წამოეწია მეორე ვაგონი, წაექცია ყმაწვილი და ორივე ფეხი მოსწყვიტა. დასახიჩრებული ბავშვი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ **სახალხო უნივერსიტეტის ქართულ სექციისაგან.** გვთხოვენ დაგვებეჭდოთ: „სახალხო უნივერსიტეტის ქართული სექცია საყოველთაოდ აცხადებს, რომ მიმდინარე წლის რვა ნოემბრიდან იწყება ლექციების სისტემატიური კითხვა ქართულ ენაზე ვაჟთა პირველ გიმნაზიის შენობაში, საღამოს ექვსიდან რვა საათამდე. პირველად (რვას) ლექციას წაიკითხავს ფიზიკიდან ვასილ რცხილაძე. ლექციის მოსმენა თვიურად ღირს 50 კაპ. მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერნენ შემდეგ ადგილებში: 1. მიხეილის ქუჩაზე № 110 ჩოდრიშვილის სახელოსნოში, დილის ათიდან საღამოს ხუთ საათამდე. 2. რკინის გზის სახელოსნოში, ტოკრის ცეხში, იარაღის საწყობში, გიორგი კიკვიძესთან; 3. „ახალ ქვეყნის“, „ისრის“ და „წყაროს“ რედაქციებში, დილის ათიდან პირველ საათამდე.

✦ **ლექცია.** 14 ნოემბერს, ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში, ილია ფერაძე წაიკითხავს ლექციას ქართულად ნიკ. ბარათაშვილზე. შემოსავალი საქველ-მოქმედო საქმეს მოხმარდება.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** სამხედრო-საოლქო სამართალში მისცეს გორის მაზრელი ვასილ ბიძინაშვილი, რომელსაც აბრალებენ ენფიანჯიანცის ქარხნის მერტელეს სიმონ გაგლოევის მოკვლას. ტფ. გუბერნიაში ცხოვრება აეკრძალათ ილია გედევანიშვილს, მოსე იმნაძეს, კოსტა გროშკოვს და ალექსი კაჭარაშვილს. 50 მანეთით დააჯარიმეს მიხეილის ქუჩაზე № 89 სახლში მცხოვრები ბარამოვი. მიზეზი ის არის, რომ ავტომობილს მსწრაფლ დაარბენინებდა და ფარნებიც არა ჰქონდა.

✦ **ეპისკოპოსად ხელ-დასმა.** კვირას, 4 ნოემბერს, ეპისკოპოსად ხელდასმულ იქმნა არქიმანდრიტი ქაჯაიძე. დაესწრნენ ეგზარხოსი ნიკონი და ეპისკოპოსები იმერეთისა ლეონიდე, გურია-სამეგრელოსა—გიორგი, ქართლისა—პეტრე და ალავერდელი—გრიგოლ. წირვის შემდეგ ეგზარხოსმა სიტყვით მიმართა ეპისკოპოს დავითს.

✦ **დეპუტაციის წასვლა.** ტფ. ქალაქის მოურავი თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი და საბჭოს დეპუტატები ნ. ოსტროგორსკი და მ. გ. ლუნკევიჩი უკვე გაემგზავრნენ ეჩმიაძინში სომხეთა კათოლიკოსის გვამის დაკრძალვაზე დასასწრებლად. დეპუტაცია კათოლიკოსის ცხედარს ვერცხლის გვირგვინით შეამკობს.

✦ **საეჭვო ავადმყოფი.** 4 ნოემბერს, საღამოს 9 საათზედ, რკინის გზის სადგურის ქუჩაზედ პოლიციელმა აიყვანა

## ფელეტონი

### რა ქნა ძველმა თოფმა.

მოთხრობა

**ბლასკო იბანიესისა*)**

სენტოს თავის ქოხის კარები უნდა გაეღო. გასაღები დაამზადა კიდეც, მაგრამ ამ დროს ნახვრეტში თვალი მოჰკრა ქაღალდის ნახევს. ჯერ დაიცქერდა, მერე დინჯად გამოიღო და გაშალა. ქაღალდი მუქარის ბარათი გამოდგა. ემუქრებოდნენ—ცოცხალს არ გაგიშვებთ, თუ ორმოცი დურასი არ დაგვიმზადეო. თანაც ატყობინებდნენ—ეგ ფული შენი ქოხის წინ რომ ფურნეა, იქ შედეო.

მთელი მიდამო თავზარ-დაცემული იყო ყაჩაღ-ავაზაკებისაგან. დღე არ გავიდოდა, ამნაირი ბარათი არავის მისვლოდა. ვაი იმისი ბრალი, ვინც უარს იტყოდა: ნათესს მიწასთან უსწორებდნენ, სახლს უწვავდნენ. ხშირად თითონაც ასალმებდნენ წუთი-სოფელს.

ამას წინად ერთი უბედურება დატრიალდა. რუსაფაელმა გაფარომ გადასწყვიტა ამ ყაჩაღების ამოჩენა. გაფარო სოფელ რუსაფას თვალი იყო, ყმაწვილი კაცი, ჯან-ღონით სავსე. მთელ ღამეებს ჩალანში ატარებდა. იჯდა ჩასაფრებული ან ფრთხილად მიდი-მოდიოდა; უნდოდა მოესწრო ავაზაკებისათვის. მაგრამ ერთხელ, სისხამ დილაზე, გაფარო მოკლული ნახეს. არხში ეგდო, მუცელი სულ დახვრეტილი ჰქონდა ტყვიით, თავი კიდევ მოჭრილი. წადი ეხლა და გაიგე, ვინ ჩაიდინა ეს საქმე!

საქმე გაზეთებამდეც კი მივიდა. ვალენსიური გაზეთები სავსე იყო ამ ყაჩაღების ამბებით ყველა შიშში იყო. შეშინებული ყველა შიშში იყო. შე-

ღამდებოდა თუ არა, სახლები იკეტებოდა. ადგილობრივი მამასახლისი ბატისტი სულ ცოფებსა ჰყრიდა. ამ მამასახლისს მთავრობა ძალიან კარგის თვალით უყურებდა, რადგან არჩევნების დროს მეტად გამოსადეგი კაცი იყო. როდესაც კი შეეკითხებოდნენ ყაჩაღობის შესახებ, ბატისტი სულ ერთსა და იმავეს გაიძახოდა: პატარა დამაცადეთ, მე და ჩემი ჩაფარი სიგრო მალე იმათ სინსილას გავაქრობთო.

ჰო და სენტოსაც მუქარის ბარათის წაკითხვისთანავე მამასახლისი მოაგონდა. ერთი კი გაიფიქრა, მოდი წავალ და ყველაფერს ვაცნობებო, მაგრამ მალე შეიცვალა აზრი. იცოდა ბატისტის ბაქიაობა და დარწმუნებული იყო, რომ იმისაგან სიკეთე არ გამოვიდოდა.

სენტომ ყველაფერი აწონ-დაწონა. ორმოც დურასსა სთხოვდნენ. კარგად ესმოდა—თუ ამ ფულს არ დაამზადებდა, დაუწვავდნენ ქოხს, აი ამ ქოხს, თვალის ჩინს რომ ურჩევნია, თეთრად შელესილს, უკვე გაშავებულ ჩალით გადახურულს, ცისფერ ფანჯრებით, ვაზის პატარა ხეივნით კარებ წინ, შემორიგებულ ყვავილებით; სახლს უკან კიდევ პურის საცხობი, აგურისა და თიხისაგან გაკეთებული. ეს იყო სულ სენტოს ავლა-დიდება, იმისი ბუდე, სადაც თავს აფარებდნენ მისთვის უძვირფასესი არსებანი—მისი ცოლი და სამი პატარა ბავშვი, აგრეთვე ორი ბებერი ცხენი, ორი ერთგული ამხანაგი ყოველ დღიურ ბრძოლაში ლუკმა პურისთვის, და თეთრი მოყვითალო ზოლებიანი ძროხა. ეს ძროხა ყოველ დღე ქალაქში მიჰყავდათ; იქ დილა ადრიან თავის ზარის წკარუნით აღვიძებდა ხალხს; მერე სწველიდნენ იმის მუდამ სავსე ცურს და უკან ისტუმრებდნენ.

რამდენი უნდა ეშრომნა სენტოს ამ პაწაწკინა მიწის ნაჭერზე, რამდენი ოფლი და სისხლი უნდა დაეღვარა, რომ თავი მოეყარა იმ ორიოდე გროშისთვის, რომელიც ეხლა ტყავის ქისაში ღვიძის ქვეშა ჰქონდა შენახული. განა ნებას მისცემს ვისმეს, რომ ეს ფული გაჰგლიჯონ!

სენტო მშვიდობიანი კაცი იყო. მთელი სოფელი დაამოწმებდა ამას. სარწყავ წყლისთვისაც კი არავისთან მოსვლია ჩხუბი. სამიკიტნოებშიაც კი არ დადიოდა, არც თოფი ჰქონდა, რომ სხვებსავით ეტრაბახნა. ერთად-ერთი სურვილი ჰქონდა—ხარივით ემუშავნა თავის პეპეტისა და სამ ბავშვისთვის. არა, ცოცხალი თავით გროშს არავის დაანებებს, გაცოფებულ ლომივით დაუხვდება ყაჩაღებს!

საღამო მოახლოვდა, სენტოს-კი ჯერ არაფერი გადაეწყვიტა. ბოლოს მეზობელ მოხუცთან წავიდა. მეზობლის ქოხი იქვე იყო. მოხუცი იმდენად დაჩაჩანაკებული იყო, რომ აღარაფრის თავი აღარა ჰქონდა, ხან და ხან გზაზე ფიჩხს თუ მოაგროვებდა ხოლმე. მაგრამ ახალ გაზრდობაში ამ მოხუცს დიდი სახელი ჰქონდა თურმე გავარდნილი. ბარე ორი-სამი კაციც გაუსტუმრებია საიქიოსკენ.

მოხუცი გულ დასმით უსმენდა სენტოს. აკანკალებულ ხელში სქელი სიგარა ეჭირა და თვალს არ აშორებდა ამ სიგარას. მოხუცს მოეწონა სენტოს გადაწყვეტილება—არავის არაფრის გულისთვის არ დაანებოს ვაი-ვაგლახით ნაშოვნი ფული. ყაჩაღები! თუ ყაჩაღები არიან, წავიდნენ შარა გზაზე და პირის-პირ ძარცონ ხალხი. მოხუცი სამოცდა ათი წლისა იყო, მაგრამ აბა ერთი გაბედოს ვინმემ და გაუგზავნოს მუქარის წერილი! ვნახოთ, რას იზამს სენტო—ეყოფა თუ არა გამბედაობა დაიცვას თავისი ქონება.

მოხუცის მაგარმა გულმა და სიმტკიცემ სენტოზედაც იმოქმედა. ამ ლაპარაკის შემდეგ სენტო გამხნევდა, ასე ეგონა—ქაჯებსაც კი შევებრძოლებო, ოღონდ ბავშვებს ლუკმა პური შეუნარჩუნოს.

მოხუცმა დიდის მოწიწებით, თითქოს წმინდათა-წმინდა ყოფილიყოს, გადმოიღო თავისი ფისტონიანი თოფი. პატრონივით ძველის-ძველი რამ იყო ეს თოფი. მაგრამ მოხუცს თვალის-ჩინს ერჩივნა. მან ღიმილით გადაავლო თვალი და ქიფებისაგან შეკმულ კონდახს ალერსი დაუწყო.

თოფის გატენა თითონ მოხუცმა იკისრა. ან კი „მეგობარზე“ უკეთ ვინ მოახერხებდა ამას. ხელებიც-კი აღარ უკანკალებდა, თითქო გაახალგაზრდავდაო. აი, აქ თოფის წამალს ჩაჰყრის, თითქმის ერთ მუჭას. ზედ დააყოლებს მსხვილ საფანტს. ხუთ-ექვს ცალს. წვრილი საფანტი ბევრი უნდა. ბოლოს ქაღალდს ჩასდებს და ყველა ამას ზუმპით გასტენავს. თუ ლულა არ გასკდა, ღვთის მოწყალება იქნება.

იმავე დღეს, საღამოთი, სენტომ ცოლს უთხრა, მინდორში უნდა წავიდე სარწყავად, ამაღამ ჩემი ჯერიაო. როდესაც სენტო გარედ გავიდა, კარები მაგრა მიიხურა და ჩაჰკეტა; ვარსკვლავების შუქზე თვალი მოჰკრა მოხუცს. თავის ქოხის წინ ხის ქვეშ იჯდა და თოფს ფისტონს ადებდა. მოხუცმა უკანასკნელად დაარიგა სენტო. აჩქარება და აპილპილება საჭირო არ არის. კარგად უნდა დაუმიზნოს თოფი ფურნეს ღია პირს, სადაც უცნობებს ფული ეგულებათ. რა წამს დაიკუზებიან და ხელით ფათურს დაიწყებენ—ბუჰ!—უნდა გავარდეს თოფი. ეს ისეთი უბრალო საქმეა, რომ ბავშვიც-კი მოახერხებს.

ფურნე ქოხის წინა კედლის პირდაპირ იდგა. თითონ მოხუცმა უჩვენა ადგილი. სენტო ისე მოიქცა, როგორც მასწავლებელმა დაარიგა: ქოხის კედელთან ბუჩქებში წამოწვა, მძიმე თოფი ჩალის ლობეში გაჰყო და ტუჩი ფურნეს ღია პირს მიუმიზნა. შეუძლებელია თოფი მიზანს აცდეს. საჭიროა მხოლოდ ცდა და ჩახმახის დროზე დაშვება. ეხლა კი მშვიდობით! წყნარად და ფრთხილად მოჰშორდა მოხუცი სენტოს. ისე მიდიოდა, თითქო იქვე ბუჩქებში ყაჩაღები ეგულებაო.

სენტოს მთელ დედამიწაზე მარტოდ-მარტო ეგონა თავისი თავი. ისე ეჩვენებოდა, თითქო თვალ-გადუწვდენელ ველზე იმისა და იმათ გარდა, ვინც უნდა მოვიდნენ, სხვა ცოცხალი არსება არ მოიძებნებოდა. რა კარგი იქნება, რომ არ მოვიდნენ!

ლულა რაღაცას მოჰხვდა და წკარუნი მოიღო: სენტოს ხელი უკანკალებდა—არ გეგონოთ სიცივისაგან, არა, შიშისაგან. რას იტყოდა მოხუცი, იქ რომ ყოფილიყო. სენტოს ფეხები ქოხის კედელზე მიებჯინა. იმ აზრმა, რომ ამ კედელს იქით პეპეტას და ბავშვებს ეძინათ, იმათ, ვისი ერთად ერთი მფარველ-დამცველიც ის იყო, ხელ-ახლა გაამხნევა სენტო.

რაღაც ხმა მოისმა, თითქოს სადღაც შორს, ძალიან შორს ფრინველი გალობსო. მაგრამ მალე გაარჩია ეს ხმა: ქალაქის ეკლესიის სამრეკლოზე საათმა ცხრა დაჰკრა. შორი გზიდან მოისმა ურმის ჭრიალი. ძაღლების ყეფა ერთი ეზოდან მეორეში გადადიოდა. მახლობელ არხიდან ბაყაყების ყიყინი მოისმოდა.

სენტო სამრეკლოს ხმაზე საათებსა სთვლიდა. ათი... თერთმეტი... ეს საათი

*) ბლასკო იბანიესი—ესპანელი მწერალია.

ქუჩიდან ხოლერის ნიშნებით ავადმყოფი ავეტიქ გოზალოვი, რომელიც ამ საღამოს ახალ სენაკიდან ჩამოსულა. ავადმყოფი გადამდებ სენით საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ **თავდასხმა და მკვლელობა**. 3 ნოემბერს, ნაშუადღევის 2 საათზედ, სადგურის ქუჩაზედ 6 კაცი თავს დაეცა ენფიანჯიანცის ქარხნის მსახურს სიმონ გაგლოევს, რომელსაც მიჰქონდა მუშების დასარიგებელი 2000 მან. მცარცველებმა მოჰკლეს გაგლოევი, გაიტაცეს ფული და გაიქცნენ. ერთი, პოლიციის ცნობებით, უკვე დააპატიმრეს. იგი აღმოჩნდა ვასილ ბიძინაშვილი. დაპატიმრებულს აღმოაჩნდა რევოლვერი.

✦ **კონცერტი**. კვირას, 4 ნოემბერს, ტფ. სამუსიკო სასწავლებელში ახლად კურს დასრულებულმა სკრიპკის დამკვრელმა თამარ ძნელაძემ საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში გამართა საინტერესო კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ქ-ნ მ. ძნელაძისამ, ბოლშტეინმა, მელგუნოვმა, ამალინმა და თვით თამარ ძნელაძემ. კონცერტმა კარგად ჩაიარა, სამწუხაროდ, ხალხი ცოტა დაესწრო.

✦ **უმაღლეს კურსებზე**. დღეს, საღამოს 6 საათზე, უმაღლეს კურსებზე კავკასიის შესასწავლად (ალექსანდრ. ბაღი), გ. მ. სმირნოვი წაიკითხავს პირველ ლექციას კავკასიის მადნეულობაზე.

✦ **მკვლელობა**. 3 ნოემბერს, საღამოს 10 საათზედ, რიყის ქუჩაზე მცხოვრებ 70 წლის მოხუცს ვასილ ვორონინს შეუვარდა ვიღაც კაცი და მოჰკლა იგი. მკვლელი მიიმალა.

✦ კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში 4 ნოემბერს შესდგა საზოგადო კრება ახლად დაარსებულ გამომცემელ საზოგადოების „მურავეინიკისა": კრებამ ამ სხდომაზედ აირჩია გამგეობის წევრებად მარტოვი, გ. ხახანაშვილი, ეფენდი-ნეიმან-ზადე, განკივიჩი, ცვილსკი, ფ. მგელაძე, ქარცივაძე, შ. პიშკინისა და მიკირტუმიანცი.

✦ 4 ნოემბერს, საღამოს 9 საათზედ, ნიკოლოზის ქუჩაზე ტფ. მოქალაქეს ნიკოლოზ ჰაჯი-მამუდოვს დუქანში შეუვარდა 6 შეიარაღებული კაცი, რომელთაც მოიტაცეს ფულად 70 მან. და მიიმალნენ.

✦ კახეთის მოედანზე 3 ნოემბერს, საღამოს 6 საათზედ, ოთხი შეიარაღებული კაცი შეუვარდა მედუქნეს ივანოვს და მუქარით ფული მოსთხოვა. დუქანში ერთმა კაცმა ხმაურობა ასტეხა. გამოჩნდნენ პოლიციელები, რომელთაც სროლა აუტეხეს, მაგრამ ტყვია ააცდინეს. უცნობნი მიიმალნენ.

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ: „1 ნოემბერს იარმუკაში ერთს უსაქმოდ დარჩენილ მუშას ადგილხანოვისას წაუღია თეატრის ბილეთი და უთხოვნია, ერთი ბილეთი აიღეო მარტიროზოვის, დარჩი დივანოვის და არტაშ გიუაშვილის დუქანში. დახმარების მაგივრად, გამოსულა დაჰლიდარი არტაშა და ერთი თავისი მოჯამახირე და მაგრა უცემნიათ. ვთხოვ ყასბების კომისიას, ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს და გაარჩიოს."

✦ ტერ-ასატუროვის ხე-ტყის ქარხნის დარაჯს, როგორც მას პოლიციაში განუცხადებია, 3 ნოემბერს საღამოს 5 საათზე თავს დასცემია ორი კაცი. წაუქცევიათ იგი, ერთს ჯიბიდან ქარხნის გასაღები ამოუცლია, მეორე რევოლვერით ხელში თავზე დასდგომია და დაჰმუქრებია—ადგილიდან არ დაიძრაო. უცნობნი მიმალულან. ქარხნის კანტორიდან გატაცებული აღმოჩნდა 70 მან. 83 კაპ. ფულად და 40 მან. ნივთები.

✦ 3 ნოემბერს, საღამოს 5 საათზედ, მტკვარში მტვრის გადაყრის დროს, წყალმა ჩაითრია სასტუმრო „პროგრესის" პატრონი ივანე მალოშუნოვი. მალოშუნოვს ჩაეშველნენ და გადაარჩინეს.

✦ 2 ნოემბერს, ღამის 11 საათზედ, დამტარებლის იავორიანცის ხელმძღვანელობით მიმავალი ელექტრონის ვაგონი ვერის დაღმართზე დაეტაკა გიგო ლომაურის ურემს და ერთი ხარი დაუშავა.

✦ 5 ნოემბერს, ნაშუადღევის ორის ნახევარზე, ვიღაცა სომეხმა განიზრახა ვარანცოვის ხიდიდან გადავარდნა და თავის დახრჩობა, მაგრამ გზად მიმავალმა მუშამ გადაარჩინა. როდესაც გადასული იყო ნახევარზედ, მაშინ ამ მუშამ სტაცა ხელი და გადმოიყვანა. ის მაინც წყლისაკენ იწევდა; ამ დროს მოვიდა პოლიციელი და ძალით წაიყვანა.

---

**შეცდომის გასწორება**. ამას წინად გაზეთ «ისარ»-ში (№ 241) დაიბეჭდა წერილი კოტე ბაქრაძისა იმ შემოწირულებათა შესახებ, რომელიც შეგროვდა გეგუთელ გაჭირვებულ გლეხის სასარგებლოდ. სიაში შეცდომები შეპარულა. ნათქვამი იყო, რომ სულ შემოვიდა 22 მანეთიო. ნამდვილად-კი შემოსულა 11 მანეთი და 20 კაპ. შემდეგ პირთაგან: კალანდაძის მიერ შეკრებილი 7 მან.; ილარ. გამყრელიძისგან 2 მან. და მელანია ჯინორიძისგან 2 მ. 20 კ.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ რაც დრო გადის, ნაძირალთა თავხედობას მომატებით თუ ემატება რამე, თორემ დაკლებით არაფერი აკლდება. დღე ისე არ გაივლის, რომ ქალაქებსა და სოფლებში გულის აღმაშფოთებელი ამბები არ მოხდეს კაცის პიროვნების დამცირებისა ან ცარცვა-გლეჯის. საზოგადოება, თანაუგრძნობს თუ შეეჩვია ასეთ უკუღმართ მოქმედებას, ხელსაც არ ანძრევს. ამას რომ ჰხედავენ შარა გზის ავაზაკები, უფრო თამამდებიან და თუ ასე გაგრძელდა, დარწმუნებულნი ვართ, რომ ავაზაკობა და ცარცვა-გლეჯა სასიქადულო ხელობად გადაიქცევა. ქუთაისში შუაგულ ქალაქში, პარასკევ დღეს, როცა მრავალი ხალხი ირეოდა ბაზარში, გიმნაზიის პირდაპირ თავს დაესხნენ მრეწველთა საბჭოს დარაჯს ფილიპე გუბელაშვილს, რომელსაც ხაზინიდან 6000 მანეთი მიჰქონდა, და მრავალ ხალხისა და გიმნაზისტების წინაშე ააფცქვნეს ფული და წაიღეს. მცარცველებმა, რიცხვით ოთხმა, დაუბრკოლებლად წაიღეს ფული, რომლის უდიდესი ნაწილი მოსწავლე ახალგაზდობის სწავლის საქმეს უნდა მოხმარებოდა. თვით ავაზაკობა ასე მოხდა: დილის 11 საათზე გუბელაშვილს მიუღია ხაზინაში ორი ჩეკით 6.000 მანეთი. რათა არავისი ყურადღება არ მიექცია, ფეხით წამოსულა საბჭოსაკენ. როცა მიახლოვებია ვაჟთა გიმნაზიას, იგი მრავალ ხალხის წინაშე შეუჩერებიათ ოთხ ახალგაზდას და მოუთხოვნია ფული. გუბელაშვილს უარი უთქვამს. ატეხილა ბრძოლა თავის დასახწევად ავაზაკთაგან. გუბელაშვილი შევარდნილი მახლობელ დუქანში და კარი მიუხურავს, მაგრამ ავაზაკები მისწოლიან კარს, შეუმტვრევიათ იგი და რევოლვერით ხელში მუქარით მოუთხოვნიათ ფული; პოლიციის ყურადღების ასაცილებლად, ავაზაკებს რევოლვერი არ უსროლიათ, მაგრამ საგრძნობლად გაულახავთ გუბელაშვილი, რასაც მოწმობს ჰრილობა და ნაცემი ადგილები. როცა დაუმორჩილებიათ იგი, გაუჩხრეკიათ და რაც-კი ჯიბეებში ჰქონია, წაუღიათ. ამას შემდეგ ავაზაკები არხეინად წასულან. ვიდრე პოლიციას შეატყობინებდნენ და ეს უკანასკნელი მოვიდოდა, ავაზაკებმა თავს უშველეს.

✦ როგორც გავიგეთ, შორაპნის მაზრის ადმინისტრაციას აღმოუჩენია ჯრუჭის მონასტრის მძარცველების კვალი და ერთი მათგანი კიდევაც შეუპყრიათ. შეპყრობილი უკვე გამოტეხილა და დაუსახელებია ამხანაგები, რომელთაც პოლიცია გაფაციცებით ეძებს. ჯრუჭის მონასტრის გამარცვის დროს წაუღიათ, სხვათა შორის, უძველესი სახარება, რომელსაც მცოდნე პირნი დიდად თურმე აფასებდნენ, ვითარცა საარქეოლოგო ნივთს.

✦ ახლად დანიშნული ქუთაისის გუბერნატორი სლოვოჩინსკი უკვე შეუდგა თანამდებობის ასრულებას. ქუთაისის გუბერნატორად ნამყოფი გენ. იაზიკოვი 2 ნოემბერს გაემგზავრა ქუთაისიდან.

## პრესა

ქ-ნი აზიანი მაინც არ ტყდება და თავისას გაიძახის:

> ჩემი მოვალეობა იყო დამემტკიცებინა, რომ მე შეცდომაში არ შემიყვანია „ჩვენი გზის" რედაქცია. უკანასკნელმა დაამტკიცა ეს.

ქ-ნ აზიანსა და მასთან ერთად „ჩვენი გზის" რედაქციას სრულიად არ ახსოვთ მეორე მოვალეობა—ბოდიშის მოხდა მკითხველის წინაშე. აზიანის საქციელი ჩვენ ჯერ სავსებით თვითონ აზიანს დავაბრალეთ, რადგან გვეგონა, რომ რედაქციამ აზიანს სიტყვა დაუჯერა და არ შეადარა ორივე ვარიანტი მისი სცენებისა, ეხლა კი რედაქცია თვითონვე იბრალებს აზიანის საქციელს: არც იმაზე ამბობს რასმე, რომ ერთხელ უკვე დაბეჭდილი სცენები ხელმეორედ დაბეჭდა და არც ბოდიშს იხდის მკითხველთა წინაშე. მკითხველების აბუჩად აგდება მათ ბანაკში ხომ ჩვეულებად გადაიქცა, მაგრამ აზიანის მხრით გაკადნიერებული და თავხედური კრეპობა და ტყუილი მეტის-მეტია. ეხლა „წყარო" მეორე წერილს უბეჭდავს აზიანს ამ საგანზე და თვითონ კი ხმას არ იღებს. ჩვენც ვიცით, რომ აზიანმა ათიოდე სტრიქონი შესცვალა თავის სცენებში, მაგრამ საქმე ის არის, აქვთ თუ არა უფლება ავტორსა და გაზეთს ხელმეორედ დაბეჭდონ 750 სტრიქონიანი ფელეტონი, სადაც შეცვლილია მხოლოდ 10 თუ 15 სტრიქონი?

ქ-ნი აზიანი სპობს ამ საგნის შესახებ კამათს. რასაკვირველია, მოსპობს! ჩვენ კი ერთხელ კიდევ გავიმეორებთ: ქ-ნმა აზიანმა ლიტერატურული სიყალბე ჩაიდინა და იმდენადაც გაკადნიერდა, რომ საზოგადოებას უმტკიცებს, ვითომ მას უფლება ჰქონდა ერთხელ დაბეჭდილი ნაწარმოები ხელმეორედ დაებეჭდა.

⁂

სახ. სათათბიროს მოქმედების დაწყებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრების განვითარებისათვის. თვითოეული პარტია ან ჯგუფი თავის თავს მოვალედა რაცხს განსაზღვრული დამოკიდებულება დაიჭიროს სათათბიროს პიმართ და გამოსთქვას, რანაირად უყურებს იგი ამ ფაქტს, ან რას მოელის მისგან.

ამასვე სცდილობს ჩვენებური შავ-რაზმული გაზეთი „გოლ. კავკაზა", რომელსაც სათათბიროს გახსნის გარეგანი მხარე უფრო აინტერესებს, ვიდრე არსებითი. ამ გაზეთის თანამშრომლებზე, რასაკვირველია, დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია სახ. სათათბიროს თავმჯდომარის ხომიაკოვის სიტყვებს: რუსეთი მთელი და განუყოფელი უნდა იყოსო.

> „ინოროდცები" სახელმწიფო სათათბიროს წყალობით ფიქრობდნენ ახლო მომავალში მოეპოვებიათ განაპირა ქვეყნებისათვის ავტონომია, სრული განცალკევებაც კი,

სწერს „რუსის პატრიოტების" გაზეთი და სიხარულით ცას ეწევა, ეხლა კი ნამდვილი „რუსული სათათბირო" შეიკრიბა, იქ „ინოროდცები" ავტონომიაზე ვეღარ დაილაპარაკებენო.

მთელ რუსეთის „შავ რაზმულ" გაზეთებთან ერთად „გოლოს კავკაზა"-ც რუსეთის მთლიანობასა და ცენტრალიზმს შეჰხარის და სრულიად ავიწყდება, რომ ვერავითარ ძალას ვერ შეუძლიან შეჩერება დამონებულ ერთა ძლევა-მოსილ იერიშისა, რომელიც დღეს თუ არა, ხვალ მაინც რუსეთს წინ დაუყენებს დილემას: ან სრული დარღვევა, ან კიდევ დამონებულ ერთა უფლებათა აღიარებაც.

ამიტომ „გოლ. კავ." ტყუილად აჩქარებულა დასკვნით და ტყუილად მისცემია უსაფუძვლო სიხარულს...

## პროვინციის ცხოვრება

**ფრონის ხეობა**. წელს არა ჩვეულებრივი ამბები ხდება ფრონის ხეობაში: აქაურ მომრიგებელ-შუამავალს აუჯანყდნენ მისი რაიონის თ-დ.-აზნაურნი და უნდობლობა გამოუცხადეს, რადგან წელს მოუსავლობა იყო, მომრიგებელი-შუამავალი ნებას არ აძლევდა მემამულეებს, ძალით დალები აეღოთ, ამასთან ჭირნახულზედ ნაკლები ფასები დააწესა, რის გამო მემამულეებმა აღკვეცეს მასთან ყოველივე დამოკიდებულობა და მიმართეს გორის მაზრის ადმინისტრაციას. გორის მაზრის უფროსმაც დახმარება გაუწია მემამულეებს და განკარგულება მოახდინა დალების შესახებ; მომრიგებელ-შუამავალი წინააღუდგა გორის მაზრის უფროსის განკარგულებას. ადმინისტრაცია მაინც თავისას არ იშლის და გაურჩევლად, მემამულეების ჩვენებით, დალებს ახდევინებს; მომრიგებელ-შუამავალმაც თავი გამოიდო, თავის რაიონში თვით ნებობით დალები არავის აადებინა.

მემამულეებს და მომრიგებელ-შუამავლის შორის გამწვავდა დამოკიდებულება. მემამულენი გაიძახდნენ: ან ჩვენ უნდა ვიყოთ, ან შუამავალიო. შუამავალი ამბობს: ვიდრე მე ვარ, ჩემს რაიონში ჩემს დაუკითხავად დალებს არავის ძალით არ ავაღებინებო. და მართლაც იმის რაიონში ვერც ერთმა მემამულემ დალები ვეღარ აკრიფა, თუ არ მიგიღებთ მხედველობაში ზოგიერთა თვით ნება მემამულეს, რომელიც მოგვაგონებს საშუალო საუკუნის „ბარონს", თავის ხელქვეითების და შეიარაღებულ მხედრების ძალით დალებს დებულობს. თვით მომრიგებელმა-შუამავალმა თავის გლეხებისაგან, შარშანდელთან შედარებით, შედავათით და ბევრად ნაკლები დალები აკრიფა. უკეთესი იქნებოდა, წრევანდელ მოუსავლობის გამო, სულ არ გადაეხდევინებინა, რომ მაგალითი ეჩვენებინა მემამულეებისათვის.

ამ დავის გამო დანიშნეს გამოძიება. გამოსაძიებლად შესდგა კომისია. კომისიაში მოჰყვნენ გუბერნიის საკრებულოს წევრი ციციანოვი და გუბერნიის სამმართველოს მდივანი მისენკო. კომისია მოვიდა ადგილობრივ, მემამულეებს ჩვენება ჩამოართვა, მომრიგებელ შუამავლისაგანაც განმარტება მიიღო; შუამავალმა კომისია დაატარა სოფლებში დასარწმუნებლად წრევანდელ მოუსავლობაში *) გამოძიება ჯერ არ დასრულებინათ, რომ მემამულენი როგორღაც ეჭვში შევიდნენ, ვითომ ციციანოვი და მისენკო შუამავლის სასარგებლოდ მოქმედებდნენ; საჩქაროდ გენერალ-გუბერნატორთან საჩივარი აღძრეს, უფრო ზევითაც წავიდა ეს ამბავი, და ახალი კომისია დანიშნეს გამოსაძიებლად. კომისიაში დანიშნეს [illegible] გორის მაზრის თავ.-აზნ. წინამძღოლი თავადი თუმანიშვილი და [illegible] საკრებულოს წევრი შესტაკოვი. მემამულეებმა იმის დასარწმუნებლად, რომ წელს კარგი მოსავალი იყო, კომისია დაატარეს და აჩვენეს, ვისაც უფრო მეტი ჭირნახული მოუვიდა. გამოძიება ჯერ არ დასრულებულა.

ვიმეორებ, მემამულეების მხრივ საჩივრის აღძვრა მომრიგებელ-შუამავლის წინააღმდეგ ამ შემთხვევაში უსაფუძვლო იყო; ჯერ ერთი, დამტკიცება არა სჭირია იმას, რომ მოუსავლობაა; მეორე—თუ მას მემამულენი არ ენდობოდნენ, უნდა ეთხოვნათ და სხვა დაენიშნათ დალების აღების გასარჩევად და არა ადმინისტრაციისათვის მიემართნათ.

Legatus

*) მისი აზრი ის იყო, რომ მთავრობისაგან გამოსაკვები თანხა უშოვნა გლეხებისათვის.

---

**გურია**. მეტად სამწუხარო ამბები ხდება დღეს გურიაში. ჩხრეკა-დაპატიმრებას ბოლო არ ედება. 31 ოქტომბერს ღამე შეჰკრეს ქალაქი და დაიწყეს ჩხრეკა. დააპატიმრეს ორმოცამდე კაცი, მათ შორის რამდენიმე გაჭარი; ჩამოიყვანეს სოფლებიდან დაპატიმრებულნი, მათ შორის გერონტი ქიქოძე. მოელიან კიდევ ჩხრეკას. ნატარიუსი გრიგოლ ჩიჩუა დააპატიმრეს. ხმა დადის, კიდევ ბევრს დაიჭერენო. ხალხი მეტად შეშინებულია. ფიქრობდა, ცოტას მოვისვენებთ, მაგრამ არ დაგვაცადეს. ამას წინად აქედან ეტაპი გაჰგზავნეს. ეტაპში, სხვათა შორის, იყო ნაცვალაძის ქალი, რომელსაც შორეულ გუბერნიაში გადასახლება აქვს გადაწყვეტილი. ტუსაღების რიცხვმა ძლიერ იმატა. მოსალოდნელია, რომ მეოთხე სადგომს დაიქირავებენ საპატიმროსთვის. 1 ნოემბერს კიდევ გაჰგზავნეს ეტაპი. ამ დღეებში ქობულეთიდან ამოიყვანეს დაპატიმრებული ესოფ ნაკაშიძე. აქ დააპატიმრეს რაფიელ შარაშიძე. მიზეზი არ იციან.

გახშირდა აგრეთვე ეგზეკუციები, ჯარიმა, გადასახადები. ხალხი დიდ საგონებელში ჩავარდა და არ იცის, რა ჰქნას, ნაწილი დაპატიმრებულთა, რომელთა საქმეებიც ქუთაისის გუბერნატორმა გამოსაძიებლად დანიშნა, ტოლმაჩევმა გადაასახლა, ნაწილი კიდევაც გაჰგზავნა ქუთაისის ციხეში. აი ასეთი ამბებია დღეს გურიაში. ო—ლი.

---

**ახალ-სოფელი** (ტფილ. მაზრა). ჩვენს მხარეშიაც გაჩნდა ცარცვა-გლეჯა და ავაზაკობა. უბედურება ის არის, რომ ხელობით ყაჩაღები და ავაზაკები სარევოლუციო პარტიებს ეფარებიან და ისედაც გატანჯულ ხალხს უკანასკნელ ლუკმასართმევენ პირიდან. მეორე წელიწადია, რაც ყაჩაღად გავარდა ორი გოსტიბელი გლეხი. მათ მიიმხრეს ერთი ნაციმბირალი, შეიარაღდნენ და მთელ ქვეყანას იკლებენ. თუ ვინმე გავა სხვაგან პურის სასყიდლად, ხელცარიელი ბრუნდება, თუ ვისმე ჰქონდა იარაღი, წაართვეს და დაჰჭედეს. ესეც არ იკმარეს და სოფლელ ქალებს ბაჟი დაადეს: ხან ერთს წაიყვანს ტყეში და ხან მეორეს. ხალხი ისეა დაშინებული, რომ ხმა ვერავის ამოუღია. ამას წინად ორნი ახალ სოფლელ გიორგი ჩოქურთან მივიდნენ და უთხრეს: შენი ჯაშუშობა გვესმის და თუ ათ დღეში თორმეტი თუმანი არ ჩაგვაბარე, ცოცხალი ვერ გადაგვირჩებიო. ჩოქურმა ხალხს შესჩივლა და უთხრა, თუ მოსაკლავი ვარ—მომკლან, თუ არა და დამითვარეთო. ახალსოფელმა ქაღალდი მისცა მას, ეს ადამიანი არაფერში შეგვინიშნავს და მასზე ცუდს ვერაფერს ვიტყვითო. მაგრამ ავაზაკისთვის ასეთ მოწმობას რა ფასი აქვს. გორელი.

## სასამართლო

### გიორგი სხირტლაძის მოკვლა.

1906 წლის 29 მაისს, დილის 11 საათზე, ტფილისში, იარმუკაში მოჰკლეს ბანკის რესტორანის პატრონი გიორგი ნიკოლოზის ძე სხირტლაძე. სხირტლაძეს რევოლვერი თავში მოჰხვდა და იქვე უსულოდ დაეცა. პოლიციისა და გამომძიებლის მიერ მიღებულ ზომების მიუხედავად, მკვლელნი კარგა ხანს ვერ აღმოაჩინეს. ბოლოს მდგომარე წელს, 13 მარტს, გამომძიებელმა წერილობითი განცხადება მიიღო ტფ. საგუბერნიო სატუსაღოს პატიმრის ნიკოლოზ ბიჭიას ძის სხირტლაძისაგან. პატიმარი სწერდა—მსურს გამომძიებელმა ჩვენება ჩამომართვასო. გამომძიებელთან სხირტლაძემ განაცხადა: „გიორგი სხირტლაძე მოვკალი მე. ჩემთან ერთად ამ მკვლელობაში მონაწილეობას იღებდა ალექსანდრე ერმოლინსკი (ესეც საგუბერნიო ციხეში იჯდა). მიზეზი მკვლელობისა ის იყო, რომ სხირტლაძე სასტიკად და უსამართლოდ ეპყრობოდა რეს-

---

იყო, რომ აფხიზლებდა. იქნებ არ მოვიდნენ? იქნებ ზეცამ მოარბილა იმათი გული?

უცბად ბაყაყები გაჩუმდნენ. ბილიკზე ორი აჩრდილი გამოჩნდა. სენტოს ეს აჩრდილები უზარმაზარ ძაღლებად მოეჩვენ, მაგრამ როცა მოკაკვილები, ოთხით მომავალნი წელში გაიმართნენ, მიჰხვდა, რომ კაცები იყვნენ.

„აა!.. მოვიდნენ კიდეც!"—სთქვა თავისთვის სენტომ და კანკალი აუვარდა.

უცნობნი ფრთხილად მოდიოდნენ და აქეთ-იქით იყურებოდნენ, თითქოს ეშინოდათ, არავინ დაგვეცესო. დაათვალიერეს მახლობელი ჩალიანი. შემდეგ მიუახლოვდნენ ქოხის კარებს და ზედ ყური მიადეს. ამ დათვალიერების დროს უცნობებმა ორჯელ გაიარეს სენტოს წინ, მაგრამ სენტომ მათი სახეები მაინც ვერ გაირჩია: ორივეს სახეზე წამოსასხამი ჰქონდა წამოფარებული,, ორივეს წამოსასხამიდან თოფი უჩანდა.

ამან გაამხნევა სენტო. ეჭვს გარეშეა, რომ ამათ მოჰკლეს გაფარო. რაც იქნება-იქნება—უნდა ორივე წუთი სოფელს გამოასალმოს, რომ თავი გადაინარჩუნოს.

ბოლოს უცნობნი ფურნესკენ გაემართნენ. ერთი დაიხარა; აი ხელი შეჰყო ფურნეში. მიზანში ამოღება არც-კი იყო საჭირო, ლულა პირდაპირ გაჰყურებდა. მაგრამ მეორე? ის ხომ გადარჩება? საწყალი სენტო შიშმა აიტანა. შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა. ერთი რომ მოჰკლას, სასროლი აღარ ექნება და მეორე ბოლოს მოუღებს. სულ რომ არ გაისროლოს? მაშინ ხომ უცნობნი ფულს ვერა ნახავენ, ცარიელნი წავლენ და მერე ჯავრს ამოიყრიან, სახლს გადუწვავენ...

ამ ყოყმანში იყო სენტო, რომ განზე მდგომ უცნობს მოსწყინდა ლოდინი და თითონაც ფურნესთან მივიდა. ორივეს თავი ფურნეში ჰქონდა, ორივე შიგ ხელს აფათურებდა. ეხლა-კი დაჰკრა წამმა. მამაცად სენტო! აბა, დასწი ჩახმახს!

საზარელმა ხმამ მთელი სოფელი გამოაღვიძა. ასტყდა ყვირილი და ძაღლების ყეფა სენტოს თვალწინ ათასმა ნაპერწკალმა გაიელვა. ეგონა—სახეზე ცეცხლი მოედო. თოფი ხელიდან გაჰვარდა. სენტომ ხელები გაიქნია; უნდოდა დარწმუნებულიყო—ზედა ჰქონდა ხელები თუ მოსწყდა. უთუოდ თოფი გასქდაო, გაიფიქრა. სენტომ ვერ გაიგო, რა მოხდა ფურნესთან. ეჭვი არ არის, უცნობნი გაიქცნენ, და როდესაც თითონაც დააპირა გაქცევა, ქოხის კარი გაიღო და დირეზე გამოჩნდა ღამის ტანისამოსში გამოწყობილი და სამზარეულო კოვზით შეიარაღებული პეპეტა თოფის ხმამ გააღვიძა და შიშით ატაცებული, ანგარიშ მიუცემლად, ინსტიქტიურად გარედ გამოვარდა.

ლამპრის წითელმა სხივებმა ფურნემდეც მიაღწია: იქ მიწაზე ეგდო ორი კაცი. თითქოს ერთმანეთზე იყვნენ გადაბმულნიო, ისე მიჰკროდნენ ერთმანეთს.

ძველმა თოფმა მიზანს არ უღალატა და ორივეს იქვე ბოლო მოუღო.

და როდესაც სენტომ და პეპეტამ ცნობისმოყვარეობით და გულის ფანცქალით სანთელი მიაშუქეს უცნობთა სახეების გასასინჯად, ძალზე გაოცებულნი განზე გადახტნენ.

მიწაზე ეგდო მამასახლისი ბატისტი და იმისი ერთგული ჩაფარი სიგრო.

სოფელმა მთავრობა დაჰკარგა, მაგრამ, სამაგიეროდ, მშვიდობიანობა და მყუდროება მოიპოვა.

ტორანის მოსამსახურეებს. სხირტლაძეს კარგა ხანია დავდევდით მოსაკლავად. ბოლოს იარმუკაში ვესროლე რევოლვერი და მოვკალიო». ნიკ. სხირტლაძეს ისიც დაუმატნია, მკვლელობის შემდეგ მე და ერმოლინსკი ბიგიანის დუქანში ვიყავით; იქ შეგვხვდა საერთო ნაცნობი ევგენი კაზაკევიჩი და იმას ვუამბეთ ყველაფერიო.

ერმოლინსკიმ თავი დამნაშავედ არ იცნო. მან სთქვა, მე მკვლელობაში მონაწილეობა არ მიმიღია ,და ვიცი მხოლოდ შემდეგი: მკვლელობამდე ერთხელ მე და ნიკ. სხირტლაძე ალექსანდრეს ბაღში ვიყავით. იმ დროს გამოიარა გიორგი სხირტლაძემ. ნიკ. სხირტლაძე მივიდა და სთხოვა ადგილი რესტორანში. გიორგიმ უარი უთხრა, მაშინ ნიკოლოზმა ლანძღვა დაუწყო. მკვლელობის დღეს ალექსანდრეს ბაღში ვიყავი; იქ შემოვიდნენ ნიკ. სხირტლაძე, კაზაკევიჩი და ვასილ მაისურაძე. ყველანი წავედით ბიგიანის დუქანში. თუმცა ორი საათი იყო, ,მაგრამ დუქანში ყოფნის დროს მკვლელობაზე ლაპარაკი არავის ჩამოუგდია. დუქნიდან გამოსვლის შემდეგ ვიღაცისგან გავიგე, რომ ნიკ. სხირტლაძეს მოსყიდვით გიორგი სხირტლაძე მოუკლავს; მითხრეს ისიც, რომ ამ მკვლელობისთვის ნიკოლოზ სხირტლაძეს ხუთასი მანეთი მისცესო.

ჩვენება ჩამოართვეს კაზაკევიჩსაც. მან განაცხადა: იარმუკაზე ერთ დუქანში ქეიფის დროს მაისურაძემ საიდუმლოდ მითხრა, რომ ნიკ. სხირტლაძემ და ერმოლინსკიმ მოჰკლეს გიორგი სხირტლაძეო. შემდეგში თითონ ნიკ. სხირტლაძე და ერმოლინსკიც გამომიტყდნენ და მთხოვეს, ხურავის ეტყვი ამ ამბავსო.

ყველა ამის გამო სამართალში მისცეს. რაჭველი ნიკოლ. ბიჭიას ძე სხირტლაძე (18 წლისა) და ტავრიდის გუბერნიის მცხოვრები ალექსანდრე ვისილის-ძე ერმოლინსკი (24 წლისაა).

ამ საქმის გარჩევა გუშინ უნდა დაეწყო ოლქის სასამართლოს.

## რუსეთი

—:—

✦ **ორგანიზაციის გაუქმება.** პოლონეთის სოციალისტურ პარტიის სარევოლიუციო ფრაქციამ გამოაცხადა, რომ მან დაშალა და დაითხოვა თვისი ორგანიზაცია ლოძში. მიზეზი ის არის, რომ ლოძის ორგანიზაციაში შეიპარნენ შანტაჟისტები, გაფლანგეს პარტიის ფული, პირად საქმეების გასასწორებლად გამოიყენეს მებრძოლი რაზმი და პარტიის დაუკითხავად გაიტაცეს რკინის გზიდან 22 ათასი მანეთი.

✦ **ჭეშმარიტ რუსთა დადგენილება.** კიშინოვში ჭეშმარიტ რუსთა კონფერენციას მიუღია კრუშევანის რეზოლუცია და დაუდგენია: სანამ ერთი კაცი მაინც დარჩება ჩვენს პარტიაში, მოვალეა ყოველ ტერორისტულ საქმეს რევოლიუციონერთა მხრით პასუხი გასცეს ასეთივე ტერორითაო.

✦ **სოც. დემ. კონფერენცია.** პეტერბურგის სოც. დემ. კონფერენციამ განიხილა საკითხი შესახებ პარტიის წევრთა მონაწილეობისა ბურჟუაზიულ გაზეთებში და დაადგინა: დროა ბოლო მოეღოს სოც. დემოკრატების მონაწილეობას ბურჟუაზიულ გაზეთებში. ამ რიგად ჯერჯერობით პეტერბურგელ სოც. დემოკრატებს აეკრძალათ სხვის გაზეთებში თანამშრომლობა.

✦ **ფინლიანდიაში.** 30 ოქტომბერს ჰელსინგფორსში დაიწყო კრება 26 სხვადასხვა საზოგადოებისა და კავშირისა. კრება მოიწვია „თეთრმა ლენტამ“, რომელსაც აზრად აქვს ფინლიანდიაში როსკიპობის მოსპობა. ეხლანდელი კრებაც ამ აზრით არის მოწვეული.

✦ **ჯაშუშთა ორგანიზაცია.** ვარშავაში აღმოუჩენიათ მთელი ორგანიზაცია, რომელიც საზღვარ გარეთ ჰყიდდა რუსეთის ჯარის მობილიზაციის გეგმებსა და აწვდიდა სხვადასხვა ცნობებს შესახებ ჯარის მოძრაობისა. ყველანი მთავარ შტაბში მსახურებდნენ. ეს ამბავი გაუგია ერთ ებრაელსა და ერთ მოხელეს. ორივენი მისულან შტაბში და 10000 მანეთად გაუციათ მოღალატენი, რომელნიც იმ დღესვე დააპატიმრეს.

✦ **გაფიცვის საწინააღმდეგო ხერხი.** 17 ოქტომბერს ვლადივოსტოკის ნავთსადგურის მუშები გაფიცულან ერთის დღით. ციხის კომენდანტს ყველანი დაუთხოვია და რამდენიმე დღის შემდეგ მესამედი უკანვე მიუღია შემდეგის პირობით: მუშამ უნდა წარადგინოს თავისი ფოტოგ. სურათი და ხელწერილი მისცეს, რომ ის არ ეკუთვნის არცერთ სარევოლიუციო პარტიას. ათი თვის განმავლობაში მას ჯამაგირიდან გამოურიცხავენ მეათედს. თუ მუშა თავის ნებით გავიდა სამსახურიდან, ამ ფულს დაუბრუნებენ, მაგრამ თუ გაიფიცა, არც ფულს დაუბრუნებენ და სამუშაოდანაც დაითხოვენ. მუშებმა მიიღეს ეს პირობები.

✦ **სამხედრო წესები პოლონეთში.** ამას წინად ვწერდით, რომ პოლონეთის გენ.-გუბერნატორმებმა გადაჰკრით მოითხოვეს, რომ პოლონეთში სამხედრო წესები არ მოხსნან. ამ თხოვნას ეხლა ვარშაველი ჭეშმარიტი რუსები და ოქტომბრისტებიც მიჰკედლებიან. მათ დაავალეს თავიანთ დეპუტატს ალექსეევს, რომ მან არას გზით არ დაუშვას პოლონეთში სამხედრო წესების მოხსნა.

✦ **გურკოს საქმე.** მკითხველს, ალბათ, ეხსომება, რომ ორიოდე კვირის წინ სენატმა გურკო გაამტყუნა და სამი წლის განმავლობაში სახელმწიფო დაწესებულებებში სამსახური აუკრძალა. გურკომ ეს საქმე განასაჩივრა. გურკოს გამტყუნება ძალიან ეწყინათ ჭეშმარიტ რუსებს. მათ გადასწყვიტეს გურკოს ადრესი მიართვან. ადრესში სწერია, რომ ჭეშმარიტი რუსები მას, ე. ი. გურკოს არავის გაათელვინებენ და ეცდებიან, რომ იგი გაამართლონო.

✦ **ველიკორუსთა პარტია.** ახლად დაარსებულ ველიკორუსთა პარტიის საქმე კარგად მიდის. პარტია სწრაფად იზრდება. პარტიას სათავეში ჩაუდგნენ ცნობილი მენშიკოვი, სახელ. საბჭოს წევრი რუხლოვი, ცნობილი პროფესორი სერგიევსკი და „როსიას“ ნარედაქტორალი საზონოვი. პროგრამა უკვე შეუმუშავებიათ. საფუძველი პარტიისა ასეთია: საკუთრება ხელუხლებელია; მიწის გამოსყიდვა იძულებით არასგზით არ შეიძლება; რვა საათის სამუშაო დროის შემოღების შესახებ ფიქრიც არ შეიძლება; ებრაელთა გათანასწორება რუსებთან შეუძლებელია; განაპირა ქვეყნების ავტონომია რუსეთს დაღუპავს, ამიტომ ამაზე ფიქრიც მეტია; საჭიროა ყველა არარუსთა გარუსება.

✦ **მიწის გამოსყიდვა.** ერთი წლის განმავლობაში თანახმად 11 იანვრის წესებისა შუა რუსეთის 30 გუბერნიაში ხაზინამ მიუზომა გლეხებს საკუთრებად 40000-მდე დესეტინა; ბალტიის მხარეში გლეხებს იჯარით მიეცა 20000-მდე დესეტინა.

პოლტავის გუბერნიაში საგლეხო ბანკმა იყიდა და გლეხებს გადასცა 4400 დესეტინა. ამ მიწაში ბანკმა მისცა მიწის პატრონებს ერთ მილიონ მანეთამდე, ე. ი. დესეტინაში მიუცია ოც თუმანზე მეტი.

ორიოლის გუბერნიაში ბანკისაგან გლეხებს უყიდიათ 10000 დესეტინა მიწა. ხერსონის გუბერნიაში იმავე ბანკს გლეხებისთვის მიუყიდნია 18500 დესეტინა.

✦ **ცარცვა გლეჯა, ავაზაკობა და სხ. ამბები.** სამარყანდში 40 კაცი დასცემია რკინის გზის სადგურს. გაუტაცნიათ 17000 მანეთი.

რიგაში პოლიციას მიუგნია მცარცველთა ბინისათვის. ამტყდარა სროლა. მოუკლავთ 5 მცარცველი, დაუპატიმრებიათ ხუთი. სროლა ორ საათს გაგრძელებულა.

ეკატერინოსლავში მცარცველებს მოუკლავთ ორი დარაჯი მადაროების დირექტორის სახლისა და სახლი გაუცარცავთ.

სევასტოპოლის მახლობლად პოლიციას აღმოუჩენია 18 გატენილი ყუმბარა. რამდენიმე კაცი დაუპატმირებიათ.

## წერილი რედაქციის მიმართ

—:—

„ისრის“ მე-235 ნომერში მოთავსებულია სად. ტატუს მუშების წერილი, რომელშიაც, სხვათა შორის, სწერენ: „ბ-ნი მერკური სამედიატორო სამართალში გამოვიწვიეთ ჩვენის დაროჟნი მასტერის ანტონ ტყემალაძის შეურაცყოფისთვის და ვადაც დაუნიშნეთ. მან (მერკურიმ) 25 დღის ვადა მოგვცა. ჩვენ ვადროვეთ. გავიდა მერკურის დანიშნული ვადა, ორი იმდენი დროც და ჯერაც პასუხს არ იძლევა. ამიტომ, დასკვნიან მუშები, აშკარაა, რომ მერკური მტყუანიაო“ და სხვ. კი მართალია გადავაცილე დანიშნულ დროს, მაგრამ გარემოება როგორც მაშინ, ისე ახლა ხელს მიშლის. თქვენ ძალიან კარგად იცით ეს (თქვენ რომ არ იცოდეთ, ანტონა გასწავლით) და მით გინდათ ისარგებლოთ. კარგი, ვნიშნავ ჩემის მხრით ვარლამ წივწივაძეს, მუშა ასალოს და მიმინოს. ვადას ვდებ შობის მეორე დღეს, ე. ი. 26 დეკემბერს, როდესაც თქვენი მედიატორებით ქ. ტფილისში ჩამობრძანდებით. ამასთან გატყობინებთ, თუ ჩემი მოწმეები, ვენედიქტე და ელიზბარი ამ დანიშნულ დროს არ გამოცხადდნენ, სამედიატორო სამართალი არ მოხდება, რადგან მათ აქ წამოუსვლელობაში ანტონ ტყემალაძის «ხერხები» იქნება გარეული. მედიატორეების განაჩენი აუცილებლად უნდა დაიბეჭდოს გაზეთში. **მერკური.**

რედაქტორ-გამომცემელი **ე. ავალიშვილი.**


## განცხადებანი

**გ ა მ ო ვ ი დ ა**

ახალი სრულიად შესწორებული და შემუშავებული

### ქართული წერის დედანი

**და**

**სახატავი ნიმუშები**

**ს. დათეშიძისა.**

იყიდება ტფილისში წერა-კითხვის მაღაზიაში და ქუთაისში ვ. ბეჟანიშვილის მაღაზიაში. ფასი 20 კაპ. ვინც ავტორისაგან გამოიწერს არა ნაკლებ 20 ცალისა, მას დაეთმობა 10%.

**ადრესი:** ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებელს სამსონ დათეშიძეს. (10—3—4)

---

გამოვიდა და დარიგდა გასასყიდად შილერის თხზულება

### ფერხული

ათი დიალოგი, ავტორის სურათით, თარგმანი ია ეკალაძე-ცინცაძისა.

წიგნი იყიდება: ტფილისში წერა-კითხვის მაღაზიაში (და ზოგიერთა სხვა მაღაზიაშიაც); ბაქოში—რევაზ ფავლენიშვილთან; გორში—არჩუაძესთან; ჭიათურაში—დეკანოზიშვილთან; ქუთაისში—წიგნის მაღაზია „იმერეთ“-ში.

ვთხოვთ ფოთისა და ბათუმის წიგნის მაღაზიებს, მიჰმართონ „იმერეთი“-ს მაღაზიაში კვიცარიძეს. სხვა ადგილებიდან უნდა მიჰმართონ წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიას ან კიროჩნი ქუჩაზედ (№ 11) ს. ბერძნიშვილს ვინც ას ცალს ნაღდად იყიდის, 30% დაეთმობა; კამისიით 20%. თითო წიგნი ღირს 30 კაპეიკად. (0—6.—8)

---

პირველი კერძო სამკურნალო

### დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**დ ი ლ ი თ:**

**ზ. ა. ნავასარდიანი;** 11—12 ს ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**ს. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ფ. ი. ზაზანაშვილი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ავეტიზიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გელაშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. ი. ქარამეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შჩერბინინა:** 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი:** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. ი. გრიგორიანი:** 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.** (ხალ.—155)

---

### ბაღი და სანერგე

### ავსარქისოვისა.

იყიდება მეტად ხელმისაწვდენ ფასად საზღვარ-გარეთულ, რუსულ და კავკასიურ ჯიშის ხეხილის ხეები. კატალოგები მსურველს უფასოდ გაეგზავნება.

ადრესი: Скра. Ст. З. Ж. Д. Авсаркисову. (20—359—7)

---

### ვერაზე

ქართულ გიმნაზიის გვერდით **იყიდება** მიწა, ზომით 92 ოთხ.-კუთ. საჟ. მსურველთ ვთხოვ მიმართონ „ისრის“ რედაქციაში დილის 11—2 საათამდე, ხოლო 4—5 საათამდე შემდეგის ადრესით: Арагвинская ул., д. № 8. (10—3)

---

1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.



**საჭიროა**

**თანამშრომელნი ორივე სქესისა**

საქსოვ სამუშაოსავის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ უგზავნით.

**პირველი კავკას. ამხანაგობა**

მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: **Тифлисъ, Верійскій спускъ д. 15 и 5.** (100—71—80)

---

გარემოების გამო ვყიდი

**საგანგებოდ მოწყობილ ქართულ**

### ბიბლიოთეკას

რომელიც შეიცავს 20 წლის განმავლობაში გამოცემულ ყოველ-გვარ ქართულ წიგნების თითო ეგზემპლიარს. წიგნები დავარაყებულ ყდებით არის დანუმრული, და შვიდ კატალოგზე შედგენილი და დაყოფილი: I. სადვთო მწერლობა; II. მჭევრმეტყველობა; III. ისტორია-გეოგრაფია და მოგზაურობა; IV. კაზმული სიტყვიერება: მოთხრობები და პოეტური ნაწარმოები ცალკ-ცალკე; V. დრამატიული თხზულებანი; VI. საყმაწვილო და VII სამეცნიერო: ფიზიკა, ჰიგიენა, მედიცინა, ტეხნიკა და სამეურნეო და საპოლიტიკო წიგნები. ამასთანავე 1904—1905 და 1906 წლების „ცნობის ფურცელი“ და „მეგობარი“ ყდებით და სურათებიან დამატებით. სრულის წლის „ივერია“ ყოველდღიური და ყოველკვირეული და აგრეთვე ყდებით: „მუშა“, „ხმა“, „სიტყვა“, „ნობათი“, „გლეხი“ და „ახალი დროება“. ყველა წიგნები და გაზეთები თავის დაჩუქურთმებულ ახალ ძვირფას შკაფით ეღირება მხოლოდ 200 მანეთად. მისამართი: Станція Михайлово. Г. Чархишвили. (8—400—3)

---

✦✦ პასუხს ვაგებთ საქონლის სიკარგისათვის! ✦✦



## კალოშებისა

**და სხვა რეზინის საქონლისათვის**

### უმაღლესი ჯილდო

(GRAHD-PRIX)

პარიზის გამოფენაზე მიესაჯა რუსეთში მხოლოდ „რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურის ამხანაგობას“, რომელიც დაარსდა 1860 წელს.

სთხოვენ მუშტარს რეზინის კალოშების ყიდვის დროს ყურადღება მიაქციოს ზეჰქედს ძირზე, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვა „ს.-პეტერბურგს“, რომელიც წითლად არის შემოვლებული.

ნარდად საქონლის ვაჭრობა ხდება

სავაჭრო სახლში

### ლეოპოლდ ნეიშელლერ.

პეტერბურგსა, მოსკოვსა, რიგასა, ოდესასა, ეკატერინბურგსა‘

**ტ ფ ი ლ ი ს შ ი,**

დონის როსტოვსა, ხარკოვსა, ირკუტსკსა, კიევსა და ტაშკენტში.

აქვე ნარდად იყიდება **ფეხსაცმელი** პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა.

იქვეა საწყობი რუსეთისა და საზღვარ-გარეთელ ტყავისა. (100—91)